



კვირა, 31 იანვარი.
№ 5 — 1916

ფასი 10 კ.

წელიწადი მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ
„თეატრი და ცხოვრებ
(წელიწადი მეოთხე. (იხ. მე 2 გვ.




ლ. ჩერქეზიშვილი
სასცენო მოღვაწეობის
წლის გამო 2 თებერ.)





შიო მღვიმელი
(სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. მე
ლების გამო)

ელ ჩერქეზიშვილი სხვა და სხვა როლში









# რედაქციისაგან

ჟურნალი უკლებლივ ეგზავნება ყველა ხელის მომწერს,—პარასკევს საღამოთი ანუ შაბათ დილით ჰბარდება ფოსტას და თბილის გარეშე ხელისმომწერნი ჟურნალის მიღებას ამის ვარაუდით უნდა ელოდნენ. ვინც თავის დროზე არ მიიღებს ჟურნალს, დროით გვაცნობოს. ამა წლის პირველი ნომერი ყველას გაეგზავნა.

**ძველ ხელის მომწერთ** წრევანდელ პირველ ნომერთან ერთად გაეგზავნა ჟურნალის სურათებიანი განცხადება—კალენდარიც. ვისაც არ მიუღია, ვსთხოვთ, გვაცნობოს და მეორედ გავუგზავნით. რედაქციაში ფული უნდა შემოიტანონ „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, მხერხავებისკენ).

---

**სახაზინო თეატრი**

სამშაბთს, 2 თებერვალს,

**ტფილ. ქარ. დრამ. საზოგადოება გამართავს**

## ელისაბედ ჩერქეზიშვილის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

**სადღესასწაულო წარმოდგენას.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება ახალი კლუბის კასაშ

---

# 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

**ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით**

| | | |
|---|---|---|
| **წელიწადი მეოთხე** | **„თეატრი და ცხოვრება“** | **წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.** |

**წელიწადი გამოცემისა მეოთხე**

**1916 წელსაც გამოვა**

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა**

**ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება**

**ფასი:** წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში— 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

**ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. **„Театри да Цховреба“**—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

**რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




№ 5

წელიწადი მეოთხე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ, ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 5 კვირა, 31 იანვარი 1916 წ.

## 31 იანვარი

**და-ძმის დღესასწაული**

ორი დღესასწაულია ზედიზედ!.. მოკლე ხანში იმერეთი დღესასწაულობს „ძია შიოს“ სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. თავს, ხოლო ზეგ—2 თებ.—ამერეთი ელ. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წ. შესრულებას *).

სცენა და მწერლობა, სახიობა და სიტყვა,—აი, ორი და-ძმა, ორი უძლიერესი ბერკეტი ჩვენი ეროვნული აღორძინებისა... საუკუნეთა ძილში მყოფ ჩვენი სამშობლოს გამოღვიძება ამ ორმა და-ძმამ იდვა თავს და ყოველი მათი მუშაკის დღესასწაული—იმავე დროს დღესასწაულია თვით ამ და-ძმის დღეგრძელობისა...

ელისაბედ ჩერქეზიშვილი და შიო მღვიმელი—შ. ქუჩუკაშვილი, სხვა ჩვენს სასახელო მოღვაწეებთან ერთად პირნათლად ემსახურებოდენ ამ და-ძმას, სცენას და მწერლობას...

მძიმე იყო მათი მოღვაწეობის ხანა: სცენა მუდმივ მერყეობასა და ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა, საბავშო მწერლობა, წინაპართა არა მყოლე, თვისით იკვლევდა გზას, ჯერ კიდევ უცნობ ნიადაგზე უწრთველის ხელით აბნევდა თესლს და, აჰა, მათმა ნათესმა ჯეჯილი ამოიყარა და ელის დაპურებას...

ეს ჯეჯილი, ეს ახალი საქართველო, კარჩაკეტილობისა და განკერძოებისაგან განთავისუფლებული, დემოკრატიული სულით გაფიცხებული, მთლიან სამშობლოს შექმნისაკენ მიმავალი, ამ ორი და-ძმის—ჩვენი სცენისა და მწერლობის—საშუალებით, დღეს მადლობას უძღვნის თავის ნაამაგდარ მუშაკთ...

ახსოვდეს ყველას, განსაკუთრებით ჩვენს მოზარდ თაობას, რომ საქვეყნო სამსახური უნაყოფოდ არ ჩაივლის...

სალამი აწინდელ მოდღესასწაულეთ—მსახიობქალსა და მწერალს—დეიდა ლიზასა და ძია შიოს...

*) შ. მღვიმელის სამწერლო მოღვაწეობის მოკლე დახასიათება დაბეჭდილი გვქონდა, თითქმის ყველა პირველად, შარშან, „თ და ც.“ № 11. მოკლე ხანში თბილისში აპირებენ მისი დღეს. გამართვას და ბიოგრაფიასაც იმ დღისთვის მოვათავსებთ. ხოლო ელ. ჩერქეზიშვილის შესახებ—იხ. ამავე ნომერში.

# ზამთარი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 4)

ქრისტეშობისთვე დაიწყო. უქმეების მოახლოვებამ ხალხი აafუსფუსა, აამოძრავა.

ღრუბელი ნელ-ნელა შედგა, თანდათან გასქელდა, წამოწვა და აქა-იქ იწყო თოვლმა ფერფლვა.

სუსხი გაღგა ზამთრისა. წყალს ყინული გამოერია. ყინულზე ყვავი-ყვანჩალა წამოსკუპდებოდა და ისე ყოყოჩათ გამოიყურებოდა, თითქოს უფლოტო ადმირალიაო.

ერთ დილით რომ გამოიღვიძეს მოქალაქეებმა, თოვლი დიდზე დაედვა და თან ნაფლეთ-ნაფლეთად სცვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღეს თოვლი შეუწყვეტლად მოდიოდა. შემდეგ ყინვამ მოუჭირა.

— ამისთანა ზამთარი დიდი ხანია, აღარ ყოფილა. ეუბნებოდენ ერთმანერთს ნაცნობები.

— ძლივს არ ვეღირსეთ მარხილით სრიალს! შეჰხაროდენ ერთმანერთს ახალგაზდები!

ვაჭრის ცოლები ქათიბებში გამოწყობილი დინჯათ დადიოდენ სავაჭროზე და უქმეებისათვის ემზადებოდენ.

რევაზ როსტომის ძეს აუარებელი შეშა მოადგა კარზე. მუშტარი ბევრი მოატყდა, მაგრამ საშინლად აუწია ფასი.

— აგრე გაძვირება შეშისა ვის გაუგონია? ჩიოდენ მუშტრები.

— რა ვქნა, მეც ძვირათ მიჯდება. ვერა ჰხედავთ, როგორი ზამთარია! უპასუხებდა რევაზი და თან გულში იღიმებოდა.

— მეტსაც მომცემთ! ჰფიქრობდა ის, როცა მუშტარი გაბრუნდებოდა; ქირს კი არ მომჭამთ? მან სიტყვა მისცა თავის თავს, კაპეიკი არ დაეკლო, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ გაჰყიდდა.

— ამისთანა ზამთარი ათ წელიწადში ერთხელ მოდის და მაშ არ ვისარგებლო? გიჟი ხომ არა ვარ! ამბობდა ის გულში.

არტემ არტემას ძე საზამთრო კალოშებისა და ფეხსაცმელების ლაგებაში იყო.

არტურ ფრანცის ძის მაღაზიაში ნოქრები საზამთრო საცვლებს აწყობდენ.

მარტიროზ ნაზარის ძემ ახალ-ახალი საზამთრო პალტოები და ტანისამოსი გამოაფინა.

არონ ფილხაზას ძეს მრავალი ტყავი მოუვიდა ბუხარიდან და დილიდან საღამომდე იმათ გადარჩევაში იყო.

არტამან სერგეის ძემ უკვე მიიღო ცხენი და მარხილი და თავისი ცოლით ქუჩებში დაჰქროდა.

საჩინოს სამი ურემი გაეტენა შეშით და ქალაქისაკენ აპირებდა გამომგზავრებას.

— ჩემი თავშალი და ფეხსაცმელები არ დაგავიწყდეს, იასონის წუღები და შალვარი, მარიამის პოლსაპოშკები, დედაშენის კაბა! შენთვის, შე უბედურო, შალის შალვარი იყიდე და ყაბალახი.

— თუ ღვთის მადლით შეშას კაი ფასი ექნა, ყველაფერს ვიყიდი. უპასუხა საჩინომ და გამორეკა ხარები.

— რა თქმა უნდა, კაი ფასი ექნება ამისთანა ზამთარში. თაფლი არ დაგავიწყდეს, თაფლი და ნამთი, ნამთი! მოაძახა ცოლმა.

— არა, არა, არ დამავიწყდება. უპასუხა საჩინომ და გააბოლა ჩიბუხი.

გულმხიარულად მიდიოდა, რადგანაც იცოდა, რომ შეშას კარგ ფასში გაჰყიდდა.

— ქალაქში სამი ურემიდან გამოვიყვან ცხრას და თითოს ოთხ მანეთს ფეხს არ მოვუცვლი, ფეხს! ჰფიქრობდა ის; ესეც შენი, შენი... ოცდა თორმეტი, არა, ოცდა თოთხმეტი, თუთხმეტი. . ოცდა თექვსმეტი მანეთი.

ოცდა თორმეტათ ხომ გავყიდი, რა!

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ნათქვამია! ჩიოდა პოლიციელი ექვთიმე. ჯამაგირს როგორც მივიღებ ამ თვეში, საზამთრო კალოშები უნდა ვიყიდო, ნაბდის ფეხსაცმელები, თორემ ქუჩაში გავიყინები. ახლა შეშა იანგარიშე. რაღა დამრჩება კაი დღეებისთვინ! ეჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! საწყალი კაცისათვის არც შობაა, არც ახალ წელიწადი!

— იოლკა რომ არ გაუკეთოთ ჩემს ილაკრისა და ნიფიდორას, მამკალი და ის იქნება! ეუბნებოდა მაკრინე თავის ქმარს—ზაქარიას, რომელიც დეპოში მუშაობდა.

— რა მეიოლკება, შე ქალო, თვალები არა გაქ? გეიხედე გარეთ, რა ამბავია! იოლკა კი არა ამ შობა-ახალ წელიწადს გოჭსა და ინდოურსაც თავი უნდა დავანებოთ. შეშა გვინდა ბევრი, მერე მაღასისხლათ ფასობს ახლა,—კალოშები, ფუფეიკები და რაღა გადარჩა ჩემი ჯამაგირიდან, აბა იანგარიშე? უპასუხა ზაქარამ.

— ყველაფერი ღარიბი კაცისთვინ გაუჩენია მაინც ღმერთს! წაილაპარაკა გულდაწყვეტილმა მაკრინემ; რაღა ახლა ჩამოიქცა მაინც ჩვენდა საუბედუროთ ამინდი!

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მოღვაწენი

## ვინ იყო ელ. ჩერქეზიშვილი?

0 წ. სასცენო მოღვაწეობის დღესასწაულის გამო 2 თებერ.)



ელისაბედ ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილი, ქართული სცენის ერთი პირველი მუშაკთაგანი, რომლის მოღვაწეობის მოკლე დახასიათება გასული წლის „თ. და ც.“ 6-ში დავბეჭდეთ, ქართლელია, დაიბადა 63 წ. 1 გიორგობისთვეს. პირველ დაწყეთი სწავლა მიიღო ქ. გორში, ხრუშჩოვის ლებთან (სულ 4 თვეს სწავლობდა), შემ კი სკოლის კარი არ უნახავს. პატარა ზა დედმამას განებივრებული ჰყავდა, მეტ ლად ნათესავებში იყო ხოლმე—ს. ნიქოზდა ზემოხვედურეთში—საციციანოში. ცელ, დაუდგრომელი ლიზიკო, 10 წლისა უკვე ძი მოლხინე, მოცეკვავე და „ბუზიკის“ მკვრელი იყო; ლხინ-დღეობათა თაიგული გონა ყველას ყურადღებას იპყრობდა. გარა ამისა ადრევე გამოიჩინა სხვათა განსახიების ნიჭი: მოხუც დედაკაცებს ლაპარაკარულით გასაოცრად ბაძავდა. ამ ხანებში, 0-იან წლებში, ქართლის ზოგიერთ სოფელში ვ. ს. მერეთში ილაია ფურცელაძის თაოსნოთ) სცენის მოყვარეთა უფასო წარმოდგენები მართებოდა. ერთს ასეთს წარმოდგენაში, 885 წ. ზაფხულში, ს. მერეთში გამოვიდა ირველად სცენაზე. ითამაშა ქაბატო და სარა „ხანუმა“-ში). პირველი გამოსვლითვე ისეთი უნარი გამოიჩინა, რომ გ. დ. ჟურულისა და ისი დედის ქეთევანის რჩევით თბილისს ჩამოვიდა, ქართული დასის რეჟისორთან, ვ. მ. ოუმანიშვილთან. რეჟისორის ხელმძღვანელობით თბილისის სცენაზე პირველად გამოვიდა 1886 წ., ენკენისთვის 12, „ეჭლანდელ სიყვარულ“-ში (ნატალია). ამ პირველმა გამოსვლამ გადასწყვიტა მისი ბედი: სცენაზე მიიწვიეს თვეში 40 მ. ნ. და ამის შემდეგ სამშობლო სცენას არ განშორებია. მისი როლებია ხახო („დაქ ოჯ.“), სალომე („ინჟინ. და დოხ.“), ეფროსინე („დედ. ერთა“), ამფისა („ბორკ.“) მათალო, ხორეშან („60 წ. არშ.“) „ქვრივი“ („გლ ჭრ.“), გუგულიშვილისა („უნდა გავ.“) და სხ. ე. ჩ—ის ხელოვნობის დამახასიათებელია სისადავე, სიმარტივე, ბუნებრიობა და ეროვნული სულის დგმა,—რომელ როლშიც უნდა ნახოთ, ძნელად რომ სიყალბე შენიშნოთ. ყოველი მისი ნაქვთი—მიმოხვრა, სიარული, ღიმილი, წუწუნტირილი ან ლაპარაკი ნამდვილი მშობლიურია, ჩვენებური.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1888 წ. პირველი მისი მოთხრობა „აღდგომის წინად“ დაიბეჭდა „თეატრში“ (1888 წ. № 17), შემდეგ პატარ-პატარა მოთხრობა-ამბებს ათავსებდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში: „საბრალო ნენე“ („ივ. 1891 წ. № 186), „მსხვერპლი უბედურებისა“ („ივ.“ 1892 წ. № 8, ლ. კოშკელის ფსევდონ.) „სცენა სოფლად“ („ივ.“ 1897 წ. № 156), „ორი მსხვერპლი“ („ივ“ 1904 წ. № 79) და სხ. აქვს პუბლიცისტური ხასიათის წერილებიც „ჩიტრა და ქართველი ქალები“ („ივ,“ 1894 წ. № 246), „წერილი მეგობართან პეტერბურგიდან“ („თეატ. და ცხ.“ 1910 წ. № 15), „მგზავრის წერილები“ (ჯერ დაუბეჭდავი) და სხ. მოთხრობებში უფრო ჩვენი ბეჩავი ხალხის ყოფა-ცხოვრებას გვისურათებს, წერილებში—ქალთა გადაგვარებასა და სამშობლო სცენას ეხება.

მართალია, ელ. ჩერქეზიშვილს სკოლური სწავლა არ მიუღია,—ოჯახშიაც ბევრი უსიამოვნება შეემთხვა: პირველად იყო და მის უნებლიეთ გაათხოვეს, მეორე—ქმარი, როგორც წინად ვსთქვით, ცნ. მოღვაწე ნ. ხიზანიშვილი ვერაგულად მოუკლეს, საუკეთესო მოაზროვნე ქალი პოლიტიკურ საქმეზე გაუციმბირეს და ყველა ამ დაბრკოლებათა მიუხედავად თავის პირადი გამრჯელობით სამშობლო მწერლობა შეისწავლა, სცენაზე ერთ პირველთაგან ხელოვანად შეიქმნა, მწერლობაში თავისი წვლილი შეიტანა და შვილებიც გზაზე დააყენა...

ჭეშმარიტად, ასეთი ადამიანები ულრმესი პატივისცემის ღირსნი არიან, რადგან მრავალ დაბრკოლებათა დაძლევას გვასწავლიან და

ცხოვრების განახლებისკენ მიგვიწოდებენ...

ასეთი ღვაწლი დაფასდა: სამშობლო სცენა და მასთან მთელი ქართველობა უფლის მთრქმისა დღესა — 2 თებერ. ზეიმით მადლობას უძღვნის დამსახურებულ მოღვაწეს.

დაე, ყოველი ქართველის, განსაკუთრებით ქართველი ქალის გული მადლობით აღივსოს იმ ქალი მოღვაწისადმი, რომელიც ოცდაათ წელს დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენი ერის წინსვლის საქმეს...

**იოსებ არიმათიელი**

# ყვავილები

## აკაკის გარდაცვალების წლის თავზე

ავაკვნეს-ავაწკრიალებ ჩემ ჩანგს საბრალო ხმებითა,
ცრემლებს დავგუბავ მწუხარე, მაგრამ დავსტკბები მე მითა;
შენს საფლავს — ჩემსა სალოცავს — თაყვანს ვსცემ მოკრძალებითა,
შემდეგ დავაფრქვევ, დავალბობ ნაგუბარ ცრემლთა დენითა.

რომ წმინდა ცრემლმა საფლავზე ვარდი მოგირწყოს, ახაროს,
მავნე მცენარეს არ არგოს, ჩააქროს, არ გაახაროს;
აყვავდეს შენი იმედი, დრომ გზა კვლავ ჩვენსკენ გახაროს
და მომავალმა შვილებმა რაც გსურდა იგი გახაროს.

აბა, რა გითხრა, ძვირფასო! რაც სხვებმა არა დასწერა,
ან რასა შეიქმს დიად ზღვის ერთი ცვარისა დაჭერა;
საქართველოსა დიდება ბედმა შავ ხაზში ჩასწერა,
რაც მარად სევდით გულს მიკლავს არ მინდა მისი აწერა.

მაგრამ დღეის დღეს ვერ ვიტან უთქმელად, უდარდელადა,
აღარა გვყევხარ მგოსანი ერის გულისა მშველადა,
მხოლოდ ვნუგეშობ, დასტოვე ლამპარი უქრობელადა,
სულს საზრდოთ მიეც ნიჭთა ზღვა, ულევად, უშრობელადა!..

**ქრისტინე დგებუაძისა**

—

## სად, სად ჰპოვებს!..

ზამთარია. ცივა, ცივა, თოვლის ქულა მიწას ჰფარავს,
ზღვა მღელვარებს, ბორგავს, გმინავს, სუსხს მიდამო დაუცარავს...
ტანჯვის ველი მოძმეთ სისხლით მოსვრილი და მოლეკილი
ყინვის ნამქერს დაურთვილავს... ფიფქით არის დაფენილი...
ქარი დაჰქრის, დაბობოქრობს, ხეებს ლეწავს, ატიალებს,
ჩაგრულთ ქოხმახთ აქცევს-ამსხვრევს, ნაგლეჯ ყავრებს აფრიალებს...
ეჰ, უმანკოთ კვნესა-ვიში შორს გაისმის როგორც ზარი,
სად, სად ჰპოვებს თავშესაფარს უსახლკარო განამწარი?..
ზამთარია. ცივა, ცივა, დედა-მიწას თოვლი ჰფარავს,
ქარი დაჰქრის, დაბობოქრობს, სუსხს აფრქვევს და ყოფნას ზარავს...

**ბ. პელაშვილი**

# ბ. ახოსპირელი და მისი სიმღერა



მგოსანი ბ. ახოსპირელი *)

ძველ ბერძნებს, სხვა ღმერთთა შორის, ჰყავდათ ბედნიერების ღმერთი, რომელსაც ბრმად სახავდნენ. ეს იყო სიმბოლო თვით ბედნიერების სიბრმავისა. სახელი ამ ღმერთის—ფორტუნა. ეს ღმერთი დღესაც ცოცხალია და განაგებს ცხოვრებით. იგი გვხვდება ყველგან, ყოველ დარგში, და მაშასადამე მწერლობაშიაც, რომელიც დღეს ჩვენ გვაინტერესებს. მწერლობის „პალატებში" შესასვლელად დღესაც აუცილებელია ის „დიპლომი", რომელსაც ეს ფორტუნა ურიგებს. საჭიროა ის „რეკომენდაციის" ბარათები, რომლიც ასე აუცილებელია რომ ფორტუნას წყალობა დაიმსახურო. და ხშირად, როდესაც ამ ფორტუნას ჰგონია, შუბლს უმკობ დაფნის გვირგვინით იმ შეუდარებელ გმირს, მშვენიერი ხუჭუჭები მხრებამდის ეცემიანო, ამის ნაცვლად მელოტი და სასაცილო თავის შემკობა მოუხდებოდა ხოლმე. დიაღ! ამ ბრმა ფორტუნას წყალობით ბევრი უსამართლობა ჰხდება. ხშირად ნიჭიერნი დავიწყების ფარდის იქით რჩებიან, ნაკლებ ნიჭიერნი კი წინ იწევენ, ანგარიშის გაწევას თხოულობენ, და ბრბოც ტაშს უკრავს, ხმაურობს. მაგრამ ეს ფარდა დიდხანს ვერ იქნება ჩამოფარებული, მას მოხვდება ვისიმე ხელი, ჩამოსწყვეტს, და კაცს წარმოგვიდგენს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, სიღრმე-სიძლიერით.

ასეთი ბედი ჰხვდა ჩვენს მგოსანს ბეგლარ ახოსპირელს. ახოსპირელი 12 წელზე მეტია რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, შრომობს სხვის თითქმის შეუმჩნევლად, არ ჰყვირის, არ მოაქვს თავი, და ამ ხნის განმავლობაში ბევრი წრფელ გრძნობათა ჩქერში განბანილი ლექსები შესძლვნა ჩვენს ლიტერატურას. ბ. ახოსპირელს არ შეუქმნია ისეთი მსოფლიო რამ, რომ მისი შეუმჩნევლობა საკვირველებათ გამოვაცხადოთ. მაგრამ აქ ხომ მსოფლიობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ჩვენ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა მოგვცა ახოსპირელმა. რა შესძლვნა მან ჩვენს ლიტერატურას, და იმის და მიხედვით მოუძებნოთ ადგილი ჩვენს მწერალთა რიგში.

ბ. ახოსპირელი ეს ის პოეტია, რომელიც წარმოშობა ლუხჭირი ცხოვრების ლუხჭირმა ბედმა. ეს იმ ნაწილს ეკუთვნის, იმ ნაწილის მგოსანია, რომელმაც ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ ამოიღო ხმა, ადამიანური უფლებები მოითხოვა, იცნო თავისი თავი და მოისურვა ადამიანური სიცოცხლე ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ბ. ახოსპირელი იმ მგოსანთა რიგს ეკუთვნის, რომელნიც ხალხს, ტანჯულ ხალხს ჩაუდგნენ სათავეში, პირველ რიგში, რომელნიც მათ მედროშეებათ გამოვიდნენ, რომლებმაც დაიძახეს ჩვენი მეგობარი „ხალხი არი!

*) ბეგლარ ახოსპირელი იგივე ბეგლარიძე, გვარად ალამოვი, დაბადებულია ქ. თელავში 1880 წ. 23 ღვინობისთვეს. ტომით სომეხია, თუმცა სომხური არც უსწავლია და არც იცის, რადგან მთელი მისი შთამომავლობა ქართულ ზნე-ჩვეულებით და ქართულ ენაზეა აღზრდილი. 8 წ. ვილაც მთავართან მიაბარეს ქართული წერა-კითხვის შესასწავლად. 4 წ. იყო იმ მთავართან, შემდეგ ერთმა მახლობელმა ნათესავმა, ვაჭარმა თბილისს ჩამოიყვანა, ვითომ და გიმნაზიაში მისაბარებლად, მაგრამ გიმნაზიის ნაცვლად თავის სავაჭრო დუქანში ჩააყენა. როგორც იყო, ამ ვაჭართან 2 წ. გასძლო, შემდეგ კი გაექცა, რადგან წიგნების კითხვას უკრძალავდა. 4 წ. ქართ. ამხ. სტამბაში მუშაობდა, ხან უბრალო ასოთ-ამწყობად, ხან მანქანაზე ქაღალდის დამწყობად, ხან ჩარხის დამტრიალებლად. სტამბაში ყოფნის დროს დრო-გამოშვებით სახალხო თეატრებში სუფლიორობდა; სწერდა საბავშო ლექსებს და სხვა. 1900 წ. ქართულ დრამატ. დასში მიიწვიეს სუფლიორად და აგერ მეთექვსმეტე წელია დიდის მუყაითობით და სიყვარულით ასრულებს თავის მოვალეობას. მისი პირველი ლექსი—„ნანი-ნანა"—დაიბეჭდა 1902 წ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ტანჯული“ (ი. ევდოშვილი.) და იმათ ინტერესების დასაცველად, მათ ასამაღლებლად მომართეს ქნარი ღვთიური. შეუერთდა ბ. ახოსპირელიც მათ რიგს, „მათი სევდა, მწუხარება“, თავის სევდას გადააქსოვა და დაიძახა: „მე ხალხთ უფლების მედროშე ვარ, ცეცხლში გზნებული“. დიახ! გადაავლეთ თვალი მის ლექსებს, და თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ მგოსანი, წრფელი აზრ-გრძნობის პატრონი, რომელიც გულწრფელად იტანჯება ხალხის ტანჯვით, რომელიც სწუხს მათი წუხილით, რომელიც ჰკვნესს მათი კვნესით; წარმოგიდგებათ მგოსანი, რომელიც ცოცხლად აღგვნებს თვალყურს ცხოვრების მიმდინარეობას, უკვირდება მას, ყოველ მოვლენას ცოცხალ სურათად, პოეტურ გრძნობაში ამოვლებულს წინ გვიყენებს, ყოველ ცრემლს ის ანგარიშს უწევს, ყოველ ტანჯულის თვალებში იხედება, ყოველს გაჭირვებულს ხელს უწვდის ძმურად და ეუბნება:

„ვინც მარად სტირით... სტირით და სტირით
„არ იცით რაა დღე სიხარულის,
„შემომიერთდით, და ყველამ ერთად
„ვსტყორცნოთ ცხოვრებას ვარამი გულის“-ო,

და მასთან ერთად უმღერს მათ, უმღერს უცრემლოდ:

„მე მარად ვმღერი, ვმღერი უცრემლოდ,
„წარბსაც ვერ მიხრის ფიქრი, წყვდიადი,
„დეე, დაბნელდეს, ბნელს თან მოჰყვება
„ახალი ძალა და განთიადი“-ო.

ამას ამბობს იგი თავის ლექსში „ჩემი სიმღერა“, და ამ ლექსს წინ უმძღვარებს თავის ლექსთა კრებულს ამავე სახელით ეს ლექსი კანვაა მისი პოეზიის, კანვის პირი; ესაა შესავალი მისი პოეზიის, შესავალი, შინაარსის ამხსნელ-განმმარტავი. ეს არის მისი ავტობიოგრაფია, მისი აღსარება, რომელიც წინ წაიმძღვარა. იგი „მღერის უცრემლოდ“, თუმც მის სიმღერაში ისმის მწარე კვნესა; „მღერის უცრემლოდ“, რადგან „იმედის სხივი გულს ეფინება“, რადგან სწამს რომ „ვარსკვლავი იმის ბედისა დღეს რომ მიმქრალა ხვალ გაუნათებს“; „მღერის უცრემლოდ“, რადგან ამ სიმღერით სურს „ცხოვრებას წიაღში ჩასწვდეს“ და მისი შინაარსი აღმოიკითხოს სურს გადახადოს ზეწარი საიდუმლოებისა და ჭეშმარიტებას პირისპირ შეხე-

დოს „მღერის უცრემლოდ“, რადგან წყვდ
ცხოვრებისა მას არ აშინებს. ის პირისპირ
ქერის ცხოვრებას, სურს აღმოიკითხოს პა
იმ კითხვებზე, რომელნიც მას აღელვებენ,
მელნიც არ აძლევენ მას მოსვენებას. აი, მ
ხვედს წინ უდევს პატარა წიგნაკები, ლე
კრებულნი: „ჩემი სიმღერა“, „ჩემი ნანი
„მშვენება და სიყვარული“. წაიკითხავთ ბ-
თვალწინ წარმოგიდგებათ ღრმა და წრფ
გრძნობის მგოსანი, რომელიც მღერის უც
ლოდ, კვნესის ჩანგზე. წარმოიდგინეთ მგოს
რომელიც სადა, უტენდენციო სახით მსოფ
კითხვებს აქსოვს ქნარის სიმებს, რომ
ეძებს აზრს ცხოვრებისას, აზრს მსოფლი
სებობისას, და ამ ძიებაში იგი ტრაგედიას
ნიცდის. ამისთანა დიდ კითხვების წინ
ადამიანისა იყინება, კრთება, და ადამიანი მ
ბელი ქედს ჰხრის, სდგება, ან უკან ბრუნდ
ახოსპირელი დიდი ძიების შემდეგ შესდგა,
გიდა აგნოსტიციზმამდის, და ყურში ჩამ
ძახა:

„ვერ გაიგებ რისთვის გაჩნდი, ვერ გაიგებ
თვის კვდ
„და ვიდრემდის ეს ასეა, მუდამ სევდით
სებ

ეს ნ. ბარათაშვილის ანდერძია ჩვენს მ
ლობაში, რომელმაც ზენაარსს დაუყენა ლ
საკითხი: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუ
სოფელიო“. და არამც თუ ბარათაშვილისა,
მსოფლიო კითხვაა, პასუხ-მიუცემელი, ეს სფ
სისებური გაუგებრობაა, გაუგებრობა მტანჯ
ეს შავი ზოლია, რომელიც გასდევს მთელ
ტორიას კაცობრიობის აზროვნებისას. და კ
ხვა რისთვის, ეს ის კითხვა არ არის, რომ
მაც შეჰქმნა მთელი ფილოსოფიური მიმდინა
ობა აგნოსტიციზმი. გნოსეოლოგიური პრობლ
დაედო საფუძვლად ამ მიმდინარეობას—აგ
სტიციზმს, ანუ ინტელექტუალურ პესიმიზ
რომლის ჩანასახი გვხვდება ძველ ფილოსოფ
თა ნაწერებში. მაგ. ქსენოფონის, პარმე
ლოსის, ჰერაკლიტოსის, სოკრატის, პლატ
ნის და სხვათა. ასეთია ფაუსტი, ასეთივეა 
ნე კარამაზოვი. და თეზისი: „არ არის შემ
ნებითი ჭეშმარიტება“, ეს არის დედა დე
აგნოსტიკების მსოფლ-მხედველობისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც უარჰყოფენ შესაძლოებას ქვეყნიერობის და არსის შემეცნებისას. ახოსპირელიც ამასვე გადმოგვცემს და გვეუბნება თავის ერთ ლექსში: „ვერ გაიგებ“. შეიძლება ეს ოთხი სტრიქონი ახოსპირელმა უგრძნობლადაც დასწერა და მით კვლავ ხაზი გაუსვა პოეტურ შემოქმედობის იდუმალ ზესთა-ძალობას. შეიძლება, ეს ნაგრძნობიც იყვეს, მაგრამ ეს ხომ არ არის ჩვენთვის საჭირო. ჩვენთვის ღირს-შესანიშნავი მხოლოდ ის ოთხი სტრიქონია, რომელშიაც ფილოსოფიური სიმტკიცით გამოსთქვა და გამოაქანდაკა აგნოსტიური მსოფლმხედველობა. იგი იძახის:

„ვერ გაიგებ რისთვის გაჩნდი, ვერ გაიგებ რისთვის ჰკვდები,
„და ვიდრემდი ეს ასეა, მუდამ სევდით აივსები“.

და სწორედ ეს სევდა ამ ფორმით არის ის სევდა, რომელსაც ფილოსოფიაში გნოსეოლოგიური, ანუ ინტელექტუალური პესიმიზმი ეწოდება. და მართლაც ეს სევდა ხომ არ გამოუწვევია სხვა რაიმე მიზეზებს გარდა შემეცნებითის? ეს ხომ არ არის პასუხი აღელვებული გრძნობისა და მხოლოდ გრძნობისა? ეს ხომ არც ლდიურ ჭირ-ვარამით არის გამოწვეული? და არც წუთიერი სულის განწყობილების შედეგია. ეს არის შედეგი ადამიანის აზრის უძლურების გონებისა, ეს არის მთელი ფილოსოფია ოთხ სტრიქონში ჩამოსხმული, გნოსეოლოგიურ პრობლემაზე დამყარებული, და შემდეგ, ამ მიზეზით გამოწვეული ე. ი. სევდა მისიც ინტელექტუალურია, შემეცნებითი. დიახ, ამ თვალსაზრისით ბ. ახოსპირელი აგნოსტიკია, და მაშასადამე პესიმისტი.

(გაგრძელება იქნება)

**ვახ. კოტეტიშვილი**

### მგზავრის პასუხი

(ძღვნად შ. მღვიმელს)

საით იჩქარი, ძმობილო,
საით მიგაფრენს მერანი?..
ძნელი სავალი გზა არი —
გაგაჯახირებს ვერანი!..
—ვიცი. ბიჭობაც ის არი: —
გზა გაიარო საძნელო,
არ შეუშინდე გასაჭირს,
გული არ ჩამოიბნელო!..

**მ. ველისციხელი**

## აჩრდილი

გ. ტეტმაიერისა

აჩრდილი ყველგან, ყოველთვის, დღისით თუ ღამით, განუშორებლივ თანა სდევს ადამიანს.

ხშირად ჩვენი სახლის წინ ამოსულ ხეებს ვერ ვამჩნევთ; ხშირად, როდესაც უფრო ღრმა აზროვნება იპყრობს ჩვენს გონებას, ქუჩაზე მიმავალ მგზავრს ვერა ვხედავთ; აგრეთვე შესცქერის აჩრდილს ადამიანი და ვერა ჰხედავს. ეს აჩრდილი ადამიანად განუყრელია, არა სცილდება არც იმ წუთს, როდესაც ჯერ ისევ ჩვილი ყრმა დედის მკერდს ეკვრის; არა სცილდება არც იმ წუთს, როდესაც მინაზებული, თვალ მილულვილი, ვნებით დამთვრალი, სატრფოს ხვევნა-ალერსშია; არა სცილდება მაშინაც კი, როდესაც უმზერს შემოდგომის ბალახს და ჰფიქრობს: „შესაძლოა ეს ბალახი მომავალ შემოდგომას ჩემს სამარეზე ამოვიდესო!“ დღისით თუ ღამით, ყოველთვის, ყველგან ეს აჩრდილი თანა სდევს ადამიანს; ის მისი ერთგულია, — ვით მარტოობა, ის მისი ერთგულია, ვით განუზომელი წყურვილი ბედნიერებისა.

ეს აჩრდილი — სიკვდილი არის.

**ა. გაფრინდაშვილი**

## კულისებში

მსახიობი გ. ჩ—ნი ქუთაისის თეატრში ერთს პიესას შემთხვევით სცენარიუსობდა. ერთი გამოსვლის წინეთ წიგნით ხელში, დარბოდა კულისებში და იძახდა:

— პენტრე, პენტრე, ბიჭო პენტრე, სად ხარ შე ოჯახქორო, შენი გამოსვლის დროა!..

მაგრამ რადგან „პენტრეს“ ამსრულებელი ვერ იპოვა, გულ-შემოყრილმა შესჩივლა რეჟისორს ვ. ალ.-მესხიშვილს:

— „ნუ“, ვლადიმირ სარდიონიჩ! აღარ შემიძლიან სცენარიუსობა: ამდენი ხანია ვეძებ პენტრეს როლის ამსრულებელს და ვერ ვიპოვე...

— მერე ვინ ასრულებს პეტრეს როლს? — ჰკითხა რეჟისორმა და ჩააცქერდა.

— ვინა?! — იმე, აგერ არ ვყოფილვარ პენტრე! — იკრა შუბლში ხელი გრ. ჩ—მა, წიგნი გადააგდო და სცენაზე შევარდა! **ჭიტა**!



# აკაკის

შენ ჩვენ შორის სხივი იყავ, ციდან დაშვებული,
სხივი, ღამის შავ კალთაზე ობლად ანთებული.
შენ ჰფანტავდი ვერცხლის ჰანგებს, ცრემლად ჩამომდინარს,
დასტიროდი შენს სამშობლოს, ცივ კუბოში მძინარს.

შენ წახველი, როცა კუბოს ცეცხლი წაეკიდა,
როცა ბედი შენი ერის ბეწვზე დაეკიდა;
როცა ზეცის სამსჯავროს წინ, ბრძოლით ანძგერი,
მქუხარ ცეცხლის სამოსელში წარსდგა ყველა ერი.

ახმაურდა კიდით-კიდე მოგუგუნე დაფი,
ზღუდე ზღუდეს დაეჯახა, დადგა სისხლის ქაფი.
მიწის სივრცე შემოჰქარგა წითელ ყვავილებმა,
შეჰკრა რწმენა ზომავლისა სისხლისფერ ღილებმა.

ვინ შეიცნობს ბედისწერას?—ბრმაა და ორპირი:
ბევრგან ძაძად შეიცვალა სამეფო პორფირი,
ბევრგან სისხლმა გზა წალეკა, ტანჯვით აღდგენილი,
და გაჰკაფა გზა ახალი, ცეცხლით დაფენილი.

შენი ერის სავალ გზაზეც, კომლში გახვეული,
მოსჩანს შორით ცეცხლის კიბე, ელვით დარხეული...
ერი უსმენს შენს ძველ ლოცვებს, ერი ცას შეჰყურებს.—
ჰჰ! ვინ იცის ვით გაივლის ცეცხლის საფეხურებს?!.

ს. აბაშე

## აკაკისადმი

(აკაკის გარდ. წლის თავის საღამოზე 26 იან. „არტ. საზ. დარ." წაკითხული)



შენ მზის სითბოთ დაიბადე საქართველოს დაჭრილ გულში,
შენი გული გამოაწრთე მის ტანჯვას და სიყვარულში,
შენ აანთე რწმენის ჭრაქი ჩვენს დანგრეულ სახატეზე,
შენ ღმერთის ურჩ ამირანსა—ჯაჭვით დაბმულ რკინის კლდეზე—
მოუწოდე აღსადგენად, ვაჟკაცობა გაახსენე,—
შენ ჩვენს სულში—წმინდა ხატად ერის სული დაასვენე,
და ჯადოსან ზღაპრულ ჩანგით მისი ტრფობა ჩვენც გვასწავლე,—
თვით კი გრძნობით, შენივ გრძნობით დაიწვი და დაინავლე
და დაგვშორდი... საუკუნოდ მიეფარე მწუხარ თვალით—
მაგრამ შენის სიკვდილითაც ჩვენ აგვანთე ერთის ალით!..
და დღეს ყველამ შენს საყდარში მოვიყარეთ ერთად თავი,
ჩვენ ვიწამეთ შენი ღმერთი, შენი ხატი სალოცავი—
და ფიცსა ვსდებთ სამშობლოს წინ, წრფელ ფიცსა ვსდებთ სასოებით
რომ მტრის გულზე ზიზღს დავსწერავთ ჩვენის სისხლის ასოებით!—
ისტორიის ტანჯვის ბორბალს ავაბრუნებთ გულის ღერძზე,
და დავიცავთ საქართველოს!.. და მოვკვდებით შენს ანდერძზე!..
შენს ანდერძზე!..

26 იანვარი

ს. ფაშალიშვილი



თბ. ქართ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი დღევანდელ კონცერტის გამო

# ბოიკოტი

პიესა სამ მოქ. და ოთხ სურათად

**მოქმედნი:**

**გიორგი ლიპაძე**, მექარხნე.
**სონა**, ამისი ცოლი.
**ილია ლუკიჩ**, ქარხნის გამგე.
**პავლია**, გიორგის მოსამსახურე.
**კესა**, მოსამსახურე.
**ბესარიონ**, მზარეული.
**ვასილ ივანიჩ**, მაზრის უფროსი.
**სედრაკა**, ყასაბი.
**სანდრო**, მეპურე.
**მაშა**, „კუხარკა“.
**ივანიკა**, კურტნიანი მუშა.
**პირვ. მუშა** ( იგივე დელეგატები უკანას-
**მეორე მუშა** ( კნელ სურათში.
**ბოქაული, სტრაჟნიკები.**

მოქმედება სწარმოებს ერთ-ერთ სამრეწველო დაბაში.

(გიორგი ლიპაძის სადარბაზო ოთახი, ევროპიულ გემოვნებაზე მორთული. გიორგი სავარძელში ზის და სიგარას ეწევა. ფარდა რო აიხდება, პავლია შემოდის)

## I

**გიორგი და პავლია**

**პავლია.** ბატონო, ილია ლუკიჩი გიახლათ და თქვენი ნახვა ჰსურს.

**გიორგი.** სთხოვე მობრძანდეს.

**პავლია.** (სწრაფად გადის)

## II

**გიორგი და ილია ლუკიჩი**

**ილია ლუკ.** ბატონ გიორგის სიცოცხლე და დღეგრძელობა.

**გიორგი.** გმადლობთ, ჩემო ილიკო! შენიანათ, შენიანათ ჩემო იმედო.

**ილ. ლუკ.** როგორ გიკითხოთ, ბატონო გიორგი, ოჯახობით ხომ მშვიდობით, კარგათ?

**გიორ.** გმადლობთ, ჩემო ილიკო, გახლავართ... სხვა, როგორ არიან ჩვენი პროტესტანტი მუშები? კიდევ განაგრძობენ გაფიცვას?

**ილ. ლუკ.** (სიცილით) ვაი, იმათი კუჭის ბრალი, თორემ თქვენ რა დაგაკლდებათ. დეე განაგრძონ. აგერ სამი კვირაა მარხულობენ!

**გიორ.** სიმშილით ამოვწყვეტავ მაგ სათოკეებს, მაგათ. რომ დაიხოცნენ, ერთ მუხლს არ დაუკმაყოფილებ. გუშინ იყვნენ ჩემთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ სულ კინწისკვრით გავრეკე აქედან. მე ვაჩვენებ მაგათ სეირს და გავაგებინებ, თუ ვინ არის გიორგი ლიპაძე. არა, მე ეს მაკვირვებს, ილია ლუკიჩ, როგორ გაბედეს გაფიცვის გამოცხადება! წინათ ამისი მსგავსი არა ყოფილარა. თავაზიანნი და მორჩილნი იყვნენ ყველანი; დღეს კი სულ სხვასა ვხედავ! ალბათ რაიმე არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც ძაღლის თავია დამარხული და ჩვენ არ ვიცით! მიკვირს ღმერთმანი, თქვენ ასეთი გამჭრიახი კაცი და მთავარი მიზეზი კი არ იცით რაშია!

**ილია ლუკ** მიზეზი ის არის, ბატონო გიორგი, რომ ხანდახან შემოკვეპარებიან ხოლმე, ვინმე საპატიო პირის პროტექციით, ქარხანაში მომუშავის სახით, და ბოლოს აღმოჩნდებიან ქვეყნის ამომგდებნი. აი, სწორეთ ისინი ჰრევენ და სწეწენ საქმეს.

**გიორ.** მე თქვენ გავალებთ, სას იკი ზომები მიიღოთ იმ ვაჟბატონების წინააღმდეგ და არა საიმედო პირნი დაუყონებლივ გადასცეთ პოლიციას.

**ილია ლუკ.** თქვენ სიცოცხლესა ვფიცავ, ბატონო გიორგი, რო მაგაში მე გამოცდილება არ მაკლია, მაგრამ თუ იმისთანა საეჭვო პირებს დათხოვა დაუპირე, მაშინვე მთელ ქარხანას აამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ. თავი და თავი ისაა, ბატონო გიორგი, რომ თავიდან გავფრთხილდეთ, რათა არა სასურველი პირები არ შემოგვეპარნენ ქარხანაში, თორემ მერე მათი გარეკა ძნელია.

**გიორ.** (გაჯავრებული) როგორ თუ აამხედრებენ?! აამხედრებენ და გადავცემ პოლიციას და გაბაწრულს გავგზანი. (სიბრაზით დორბლებსა ჰყრის, დადის და ყვირის) სულ რომ გასწყდნენ სიმშილით, ერთ მუხლს არ დაუკმაყოფილებ მეთქი ვიმეორებ. თუ უნდათ ძველ პირობებში იმუშაონ, თუ არა და ჯანაბამდის გზა ჰქონიათ. მე უკვე ვთხოვე მაზრის უფროსს, ხელმეორედ ჩამოვიდეს და ზომები მიიღოს. დღეს ვასილ ივანიჩი იქნება ჩემთან და—მაშ მე გიორგი ღიპაძე არ ვყოფილვარ, თუ ყველა არ გავაციმბირებინო. (ზარს რეკავს)

### III

**გიორგი, ილია ლუკიჩ და პავლია**

**პავ.** რას მიბრძანებთ, ბატონო?

**გიორგ.** (ნერვიულად) შენ გესმის? ის არამზადა მუშები თუ მოვიდნენ, ეზოში არ შემოუშვა, თორემ ვაი შენი ბრალი.

**პავ.** იმე, რავა არ შემოუშვა, ბატონო, მისთანა ტლიკი ბიჭებია რომე, თუ ხელი მსტაცეს, მუხიანის ხაბურძაკივით გამხეთქენ.

**გიორ.** ნუ ლაპარაკობ მეთქი, შე მხეცო, შენა!

**პავ.** კი, ბატონო, გავჩუმდები.

**ილია ლუკ.** (პავლიას) როგორც ხაზეინი გიბრძანებს, შენ ისე მოიქეცი.

**გიორ.** (ჩქარის ნაბიჯით დადის) არამზადები! მე ვაჩვენებ იმათ სეირს!

### IV

იგინივე და **სონა**

**სონა.** რა, ამბავია, რა ხმაურობაა? რამ აგაღელვა ასე, ჩემო გიორგი?

**გიორ.** არაფერი, გუშინდელი ამბავი მომაგონდა. არა, როგორ გაბედეს ჩემთან მოსვლა! რა მაქვს მათთან მოსალაპარაკებელი!

**სონა.** (სიცილით) აეწვათ კუჭი სიმშილით, ჩემო გიორგი, და იმიტომ წრიალობენ. არა, ეგენიც რომ ფეხის ხმას აჰყვნენ...

**გიორ.** ფეხის ხმას აჰყვნენ და დამაცადონ მაგათ. სამი კვირა კი არა, სამი თვე, სამი წელიწადი რომ იყოს გაფიცვა, ყველაფერს გავყიდი და მაგათ კი თავისას არ გავაყვანინებ. აბა, ვნახოთ, მე უფრო ადრე მომშივდება თუ მაგათ! მუქთახორები, ბატონობა მოინდომეს და ბრძანდებოდნენ! არაფერი სახარბიელოა ცარიელ კუჭით ბატონობა.

**ილია ლუკ.** (გიორგის) გული მოიბრუნეთ, ბატონო გიორგი, თქვენ მზესა ვფიცავ, რომ არ ღირს მაგ რაზბონიკების აყოლა.

**გიორ.** (პავლიას) მეორეთ აღარ შემოუშვა ის არამზადები, გაიგე?

**პავ.** კი, ბატონო, მესმის.

**გიორ.** გავსრეს, ფეხქვეშ გავთელავ, როგორც ჭიებს.

**სონა** კარგი, გიორგი, დაიმშვიდე გული, რა დაგემართა! აბა, მაგ მურიანებს როგორ აჰყოლიხარ! აი, ვასილ ივანიჩი მოვა და იმან იცის მაგათი წამალი. ჩაიგდებს სათითაოდ ხელში და სულ ტყავს გააძრობს. (პაუზა) წავიდეთ ჩაი მზათ არის! ილია ლუკიჩ, მობძანდით გეთაყვა.

**ილ. ლუკ.** გმადლობთ, ბატონო, ნუ სწუხდებით.

**სონა.** ღმერთო ჩემო, აბა რა შეწუხებაა. მობძანდით, ილია ლუკიჩ, ნუ ჰბოდიშობთ. (გადიან ყველანი, პავლიას გარდა)

**პავ.** (მარტო თვალს გააყოლებს სონას და ილია ლუკიჩს) თქვენ რომ გგონიათ არც ისე წავა საქმე! (ასუფთავებს სკამებს) ძალიან კი ფიცხობს ეს ჩემი ბატონი და არ ვიცი ბოლო რა იქნება. მაგას იგი ჰგონია, აქანე მე რომ დამეტაკება ტახივით და ტყვილა უბრალოთ მაგინებს. ორი ათასი კაცის გადამტერება ხუმრობა კი არ არის! გამოვა ვინცხა, ჰბრეგს და უხლაიტ! ისე დაიკარგება მაგის სახსენებელი, რავარც შარშანდელი თოვლი. მე შენ გითხრა შვილი ჰყავს და სასახელოთ დარჩება. და ბოლოს მისი ქონება და აგი ჩემი ქალბატონიც ილია ლუკოვიჩისაა, არ უნდა ამას მტკიცება დი სტარში ნატარიუსი. იმიზაა ასე ქედმოხრილი, რომ დასცუნცულებს ხაზეინს უკან აი, ილია ლუკოვიჩია თუ კარტოფილიჩი. მაინც ეს ხაზეინი რავა გედირია, რავა ყვიროდა! ან რისა ეშინია, ქვეყანა მისია: პრისთავი, ვეზდის ნაჩალიკი, ღრუბერნატორი და ჯანდაბა მის თავს. მე რომ ტყვილა ხმამაღლა დევილაპარაკო, ციმბირს გადამაცილებენ. აბა მაგენს ხმას ვინ გასცემს, ქვეყანა მათ ფულებს ეარშიყება... არა, ხაზეინმა რომ იყვიროს, კიდენ ჯანდაბას მისი თავი, რა უყოთ, კაცია გული მოუვა და იყვირებს. მე ის მაკვირვებს ამ ქალბატონს, რომ წოუგძელებია ენა ღლავის ბოლოსავით, რა ატიტყინებს, ვინ ჰკითხავს რომ ერევა კაცის საქმეში! ჩემი ცოლი უნდა იყვეს, რომ მე ვიცი მისი. გადმოვაბრუნებ და ამდენს ურტყამ იმ სირბილეში, რომ სულ ვაი, ვაი, ვაძახო. (შემოდის კესა)

(გაგრძელება იქნება)

**გოგია**



**პოდპრ. გ. ე. ბაბალაშვილი**
გერმანელებთან ბრძოლაში მოკლული.

# ხელოვნების მოკლე ისტორია

(გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 2)

ხელოვნებასაც თავისი მწვერვალი აქვს და მისი აყვავების ხანაც მაშინ დგება, როდესაც ამ მწვერვალს მიაღწევს. მაშინ არის, რომ იგი თავის სრულს ძალასა და დონეს იჩენს ხოლმე. ესეთ დიდებულ ეპოქებში ხელოვანთა შორის ხშირად ჩნდება რჩეული მხატვარი, ჭენიოსი (ძალიან გამოურკვეველი სიტყვაა და მისი გონივრული მოხმარებაც ძნელი საქმეა) მაგრამ მათი გაჩენაც უმიზეზოდ და თავის თავად არა ხდება ხოლმე. ჭენიოსის წარმოშობა მოუცილებელი საზღვარია, საბოლოო გამოთქმა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ხანგრძლივი შემოქმედებისა. ჭენიოსს მეტად უხვად შესდგამს ცხოველ-მყოფელი და შემოქმედებითი ნიჭი. მის არსებაში თითქო შეერთებულია წინა თაობის, მთელი მოდგმის დონისძიება და მისწრაფება. ისიც ამ შეზავების გამო უფრო სრულად გამოსთქვამს მას, რაც უნდოდა მთელს წყებას მის წინაპრებისას გამოეთქვა. ამას ზედ ერთვის საკუთარი, პირადი ელემენტებიც შემოქმედებისა და ყველა ამით ხასიათდება ჭენიოსი. ხოლო აქვე უნდა ითქვას, რომ ჭენიოსის პირადი შემოქმედების ისტორიული ანალიზი მოუხერხებელია, ჭენიოსთა გარშემო კი თავს იყრიან მათი მიმდევარნი, მსურველნი მათებურის ცოდნის შეძენისა, შემქმნელნი სკოლისა. მაგრამ ხშირად ჭენიოსთა გავლენა მოსალოდნელ ნაყოფიერ შედეგს არ იძლევა, ზოგჯერ სწორედ ჭენიოსების შემდეგ იწყება ხანა დაცემისა, ხელოვნების ჩამოქვეითებისა. ჭენიოსთა მიმდევარნი ან მხოლოდ უბრალო მიმბაძველები გამოდიან, ან სურთ, რომ გადააჭარბონ ჭენიოსებს და ამიტომ ნაწარმოები მეტად გადამჭიჭული და უბუნებო გამოუდისთ. თვით ტეხნიურ განვითარებასაც მათთვის ზიანი მოაქვს. ცდილობენ ტეხნიკა, რაც შეიძლება ზედმიწევნით იყვეს დაცული და ამავე დროს უყურადღებოთ სტოვებენ ნაწარმოების სიწრფელეს და ბუნებრივობას. ეს ყველა ერის ხელოვნებაში ერთგვარადა ხდება. პირდაპირ გაკვირვებთ ეს გარემოება, როდესაც ხელოვნების ისტორიას გაეც-

ნობით. ესე სწორს ბერძნების ხელოვნებას, იტალიელების და ფრანგებისას. ერთი სიტყვით ყველა კარგათ ცნობილ და დამოუკიდებელ ეროვნებათა ხელოვნებას.

მაგრამ სამაგიეროდ ვერც სხვა მხრით შეიძლებთ, რომ ერთი ეროვნება მეორისაგან განაცალკევოთ უხსოვარ დროიდან დღევანდლამდე ხელოვნების ისტორია ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს ერთი ერის მეორეზე გავლენისას: ბერძნულ ხელოვნებაზე გავლენა აქვს ეგვიპტურსა და ასურულს, რომაულზე—ბერძნულს, ქრისტიანულზე—რომაულს, არაბულზე—ბიზანტიურს*), იაპონურზე—ინდიურს და სხვ. ზოგჯერ ეს გავლენა რამოდენიმე საუკუნე გრძელდება ხოლმე, ზოგჯერაც საკვირველ პირობებში იჩენს თავს.

ხელოვნების ისტორია იწყება იმ ქრონოლოგიურად უხსოვარ დროიდან, როდესაც ადამიანი თავის საცოდავ არსებობის დასაცველად სასტიკსა და ველურს ბუნებას ებრძოდა, როდესაც ყოველგვარი საზოგადოებრივი დაწესებულება მხოლოდ შთასახული თუ იყო. ამ ხანებში ადამიანი ამჟღავნებს თავის მხატვრულ ალღოს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის იარაღს, ჭურჭელს ამშვენებს სხვა და სხვა ტლანქი ზოლებით და მას შემდეგ ცდილობს გამოსახოს გარშემო მყოფი ცხოველებიც. ამის ნიშნებს ჩვენ მღვიმეებში ვპოულობთ. ეს მღვიმეები კი იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ადამიანს ჯერ კიდევ არ ძალედვა სხვა თავშესაფარი, საცხოვრებელი აეშენებინა და ველურ მხეცთაგან კლდის გამოქვაბულებში იფარავდა თავს. ეს ხანა ჩვენი წინაპრების ცხოვრებისა თავის თავად დიდათ საგულისხმოა, მაგრამ მათზე ნუ შევჩერდებით ამ ხანად და პირდაპირ გადავიდეთ იმ ეპოქებზე, როდესაც მხატვრული გრძნობა ადამიანისა უფრო განვითარებულ, ნაკლებად ტლანქ ნაკვთიერებაში გამოისახებოდა და ვითარდებოდა ეგეთ კანონების მიხედვით, რომელთა შესწავლაც ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

ზედმეტია აქ იმის დასახელება, რომ ხელოვნების ისტორიაც იმ ნაწილებად იყოფება, როგორც საზოგადოთ ცივილიზაციის ისტორია.

*) ქართულზედაც ბიზანტიურსა და არაბულს.
მთარგმ.



**მარო მდივანი**

მეთექვსმეტე წელია სამშობლო სცენას ემსახურება დაუღალავად და ღირსეულ მსახიობად ითვლება. ქუთაისის დასი 2 თებერვალს უმართავს ბენეფისს.

ეს ნაწილებია: უძველესი, საშუალო საუკუნეები, აღორძინების ხანა და უახლესი დრო. აქ შეიძლება ცოტა გაურკვევლობა გამოიწვიოს ტერმინმა „აღორძინების ხანა“-მ. მაგრამ უკვე მიღებულია, რომ ეს ტერმინი აღნიშნავს დასავლეთის ხელოვნებას (იტალია, საფრანგეთი, ფლანდრია, გერმანია), რომელიც ორნაირმა გავლენამ შექმნა: ერთის მხრით უძველეს ხელოვნების გავლენამ, რომელმაც დიდის სიძლიერით თავი იჩინა განსაკუთრებით XV საუკუნის გასულს და მეორეს მხრით ნატურალიზმის შემოღებამ ე. ი. სინამდვილის ზედმიწევნით დაკვირვებამ და სწორ-უტყუარმა მისმა აღნიშვნამ.

მაინც და მაინც ყველა ამ დანაწილებას თუ რაიმე ფასი აქვს, არც იმდენი, რომ მას დიდი ყურადღება მივაქციოთ, რადგან ისტორიულ ჭეშმარიტებას ისე არაფერი არ ეწინააღმდეგება, როგორათაც ქრონოლოგიური დაყოფა. ანტიური ხელოვნება მაგალითად სრულადაც არა თავდება ქრისტიანობის გამარჯვებით, რადგან მის ბედისწერას აგერ ჩვენამდისაც მოუღწევია, აგრევე ითქმის რომანულ და გოტიურ ხუროთ-მოძღვრებაზე, რომელსაც დღესაც დიდი გავლენა აქვს დასავლეთ-ევროპის ტაძრების სახით. ხოლო იაპონური ხელოვნება იმიტომ გვაქვს საშუალო საუკუნოებზე მიკუთვნებული, რომ იგი სწორედ მაშინ შეიქმნა და ძლიერადაც ფრთა გაშალა XVII—XVIII საუკუნოებში.

**შალვა დადიანი**

(გაგრძელება იქნება)



ალექ. გიორ ალექსიძე

ცნობილი მოცეკვავე, 1895 წ. პარიზში იყო გამოფენაზე და ჯილდოც მიიღო. 1896 წ. შემდეგ სახაზინო თეატრში მონაწილეობს. ინოჩენცის ცეკვის სკოლაში ასწავლის ყოველგვარ ცეკვას. მეორე ჯილდო მიიღო ბუხარის ემირისაგან.

# სოფელი*)

ს. კაჭრეთი (სიღნაღის მაზრა)

გარდამავალმა სისხლის გრიგალმა ისე მოამაწაწურა მუშა ხელი, რომ ძლივსღა სუნთქავს სოფელი და სიკვდილის ფერი დასდებია ყველა სამეურნეო დარგს.

სადღაა კვლავინდელი ნახნავ-ნათესი, ან და ვიღა უნდა მოხნა-მოთესოს, როდესაც თითო ოჯახიდან 3—4 კაცია გასული ბრძოლის ველზე, და შინ მარტო დედაკაცები და ბავშვებიღა დარჩენილან?!

კულანდელთან შედარებით ეხლა მეათედიც არ არის ნახნავი, და ისიც ისევ ისე ყრია გაფიტული ბელტი უწვიმობის, ანუ უთოვლობის გამო; კვლავ ამ დროს კი ჯეჯილები ბიბინებდა...

ჩვენსკენ ბუნებაც გამოიფიტა და სხვაგან კი არ ვიცი.

კოდი პური და ჩაფი ღვინო 12—13 მან. ფასობს, კვლავ კი 3 მან. არ გასცილებია. სოფლად ხშირათ გაიგონებთ ზოგიერთი მოხუცისგან: „ნეტავი ერთი ორი წლის წინეთ მომკვდარიყავი და ამ ყიამათობას არ შევსწრებოდიო; აბა რა ქნას ვინც ეხლა მოკვდება, ხო „სულ აუხსნელი“ უნდა დარჩესო“. „სულ ახსნილათ“ ჩვენებურათ იმასა სთვლიან, ვისაც თავზე. ე. ი. გარდაცვალებისას, ჭირისუფალი დაუკლავს 3—5 ცხვარს, 1—2 ძროხას, 10—20 ჩაფ ღვინოს, ამასთან შედარებით ნამცხვარს, ჩაიყენებს სოფელს და გაუმასპინძლდება.

სულ უკანასკნელმა და ღარიბ-ღატაკმა გლეხმა უნდა დაუკლას არა ნაკლებ 2—3 ცხვრისა.

მხოლოდ თუ გარდაცვალებულია მარხვაში, უნდა დაიმარხოს მარხვის საჭმლებით, და გახსნილებაზედ კი ეს საკლავებითი ხარჯი უთუოდ უნდა გამეორდეს, თუ უნდა ჭირისუფალს რომ მის გარდაცვალებული „სულ აუხსნელათ“ არ ახსენონ. ასეთივე ხარჯი უნდა გადაიხადოს ღვინობ-სთვეში, და კვირაცხოვლობას კი ცოტა რამ ნაკლები, არა და მისი მკვდარი „სულ აუხსნელია“.

აი, რწმენად გარდაქცეული ჩვენი დამღუპველი ჩვეულება, რომლის არა ერთი და ორი მსხვერპლი მიწა!თან გასწორებული და განადგურებული ოჯახია ჩვენში, არამედ უთვალავი და მათ შორის ჩემი ოჯახიც. მშვენიერი ჩემი მამული ვალმა მოიდო ქვეშ, მე კი შორიდან უცქერი თვალ-ცრემლიანი. ეს შეცდომები მე გვიან გავიგე, როგორც შინაურათ და თანდათანობით თვით განვითარებულმა და ამ უმეცრების შედეგებით გაბრაზებულმა რომ მომავალიც ამ უმეცრების წუმპეში არ ამომხრჩობოდა და ცხოვრების სწორე გზა სცოდნოდათ, სულ უარარაოთი და უსახსრობით მოვკიდე ჩემი ბავშვები სწავლას; გაუძელი ცოტა ხანს, მაგრამ თუ არ მომშველებოდნენ ყველანი მომიწყდებოდნენ სწავლას ისე, როგორც მაგალითათ მომიწყდა ერთი შვილი სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის მეორე კლასიდან, რომელიც უბედური ჯერეთ ბავშვი 17—18 წლისა გაწვეულ და წაყვანილ იქნა სამხედრო სამსახურში წელს მარიამობის თვიდან.

ბედმა მძიმე ტვირთი არგუნა უბედურს ბავშვს, ვერ აიტანა მძიმე ტვირთი, გაცივდა, ავადმყოფი ჩამოიყვანეს და მოათავსეს დ. სუ-

*) ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად ავტორის მართლწერით; წერილი ნათლად გვითითებს სოფლის ვარამზე. რედ.

რამის ლაზარეთში, სადაც განუტევა სული და ჩაესვენა მისი ჯერეთ ისევე ნორჩი სიცოცხლე. გამწარებულმა მშობლებმა ვერ გაუძლეს სიმწარეს, წაველით და მისი სხეული ამ დღეებში რკინის გზით მოვ სვენეთ შინა სასაფლაოზე, რაც 300 მანეთზე მეტი დაგვიჯდა და მოგვიდო ვალმა ქვეშ. ორი და სამი ამაზე მეტი ამ მარხვის ხარჯი უნდა დამჯდომოდა, ახლა გახსნაზედ, კვირაცხოვლობასა და ღვინობისთვეში, რომელიც სულ უკანასკნელი 2000 მანეთამდე ახწევდა, ამ ყიამათ დროში, და მე კი არა, თვით ჩემი მომავალიც კი უნდა დაღუპულიყვნენ სულ-ხორციანათ და თავის დღეში ამ ვალს ვერ დახწეოდნენ, თუ მივყოლოდი ჩვეულებას და გადამეხადნა ეს ხარჯები· დასაფლავებისას მოძღვრებმა მმ. გიორგი ბოქორიძემ და ნიკოლოოზ ფხალაძემ წარმოსთქვეს გრძნობიერი და დროს შესაფერი სიტყვები. ხალხს უღვიებდნენ სწავლის სურვილს უმეცრების წუნპიდან თავ-დასახწევად და მოუთითეს ჩემზე: „ცოტა განვითარებაც კი ბევრს აკეთებსო“. მე მადლობის გადახდის შემდეგ, დავსძინე, რომ ხალხის უმეცრების წუმპიდან გამოყვანა უფრო მოძღვრებსაც ევალებათ. ხალხი, რომელიც ამისთანა შემთხვევაში კალიასავით ესევა ერთმანეთს და ღუპავს*), მოძღვარმა უნდა შეაგნოს, მაგრამ აქ კი სულ წინაალმდეგს ვხედავთ და ეს სულ იმისი ბრალია, რომ სულ ნამდვილი ნასწავლი ქრისტეს მოძღვრებით და ღირსეული მოძღვრები არა გვყავს, და თუ გვყავს თითოოროლა, ისინიც ერიდებიან ნადიაკვნარ მოძღვრების ლანძღვა-გინებას, რომ მოაკლდებათ და ველარ წაიღებენ გატენილ ხურჯინებს, და არც იმისი თავი აქვსთ პირდაპირ გაალებინონ ხალხს თავიანთ ცხოვრების სახსარი და ასეთი წუმპიდან არ ეზიდნენ. აი ამ ხურჯინებში მარხია ჩვენი ხალხის უმეცრება. მღვდელს ხურჯინს გაუტენამს, ხალხს დააძლობს და მორჩა, იმისი მკვდარი ცხონებულია, თუნდა ქვეყნის დამღუპველი ყოფილიყოს!!! შემდეგ მიუბრუნდი ხალხს და მივმართე:

— ხალხნო! ჩემი უბედური შვილი განგებას ორი მძიმე როლით დაუტვირთავს ერთმა უკვე იმსხვერპლა მისი ნორჩი სიცოცხლე, და მეორე მკვდარსაც კი ტვირთათ გაუხდა— მან პირველმა მოგსცეთ მაგალითი ამ უმეცრების წუმპიდან თავის დახწევისა. გაიგეთ, რომ არავითარ ხარჯს მკვდართან საქმე არა აქვს. დროა გონს მოვიდეთ და თავიდან მოვიშოროთ ეს დამღუპველი ჩვეულება ეს ნაშთია იმისი, უწინ რომ თურმე სამარეში აყოლებდნენ ცოცხალ საჯდომ ცხენს, ხარს, კამეჩს, ძროხას, ცხვარს, დედაკაცს, ბატს, ინდაურს და ქათამს და სხვას, საიქიოს ეყოლებაო. დროა გონს მოვიდეთ, ნივთიერი ძალა მოვიკრიბოთ, რომ ამ ტკბილ დედის ძუძუ —სამშობლოს არ მოვწყდეთ, დრო კრიტიკულია და კარს გვიკაკუნებს, რაც აი ეს იქნება მკვდრისთვის გაუმადურება, რომ მის საფლავს სხვამ გადააბოტოს ან და სრულიადაც ამოყაროს უცხო ტომმა მისი ძვლები. დეე, გადიხადოს ხარჯი იმან, ვისაც ძალა შესწევს, ვისაც არ შეუძლიან, ნუ ჰგონია სავალდებულო, ვითომც უამისოთ მკვდარი წაუწყდება. მკვდარს არაფერი უნდა წირვა პანაშვიდების მეტი. ბოლოს გამოუცხადე ხალხს, რომ არ შემიძლიან ხარჯის გადახდა მეთქი.

ამის შემდეგ ხალხი ძველი ჩვეულებით გაჟღენთილი დაიშალა, რასაკვირველია, არა სასიამოვნო შუბლით და თუმც მე პირადათ მაშინვე არავინ მისაყვედურა, მაგრამ მერე ბევრისგან მესმის უკმაყოფილება და ან რას იზამს ეს ერთი მაგალითი, თუ არ ეცდებიან: მოძღვრებიც, ერიც და ბერიც და ამ დამღუპველ ჩვეულებას ისე არ განსდევნიან ჩვენი უმეცარი ხალხიდან. მაშინ მარტო მე ვხდები ხალხის მასხარა და ის კუდა მელა, რომლებიც სხვებსაც ურჩევდა კუდები დაეგლიჯათ.

კაქრეთელი გლეხი **დ. სოლოლაშვილი**

წ. კ. ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებს, თუ შეიძლებოდეს, ეს წერილი გადაბეჭდონ.

24 ქრისტეშობა 1915 წ.

---

*) ჩვენს ახლოს სცხოვრობენ გადმოსახლებული ხალხი და გარყვნილი. ამისთანა შემთხვევებში „ოხერ ქელეხში“, ისე ეხვია ჩემს ეზოს გარშემო მართლა და როგორც კალია და ელოდნენ გამასპინძლებას. საწყალი ჩემი ქოხი შეებრალებოდა, უცხო ვინმეს რო დაენახა ასე ჭინჭველასავით რო ედებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ქართ. საქვ. საზ-ის** საღამომ „ახ. კლუბის“ დარბაზში 14/I აუარებელი საზოგადოება მოიზიდა. საუცხოვოდ იყო მოწყობილი (კ. ანდრონიკაშვილის მიერ) სპარსული დარბაზი. ცოცხალი სურათები, თუმცა შინაარსიანი იყო, უფერულად გამოჩნდა; გურულთა გუნდი რომ არ ემღერებინათ სჯობდა, არა უჭირდარა ბ. მ. კავსაძის გუნდს, მაგრამ სულ ერთნაირობა მოსაბეზრებელია. საზოგადოებას მომღერალ-დამკვრელნი უფრო მოეწონა: ქ-ნი შავერზიშვილი, მორაკრაკე საამო ხმის პატრონი, ბ-ნი ვ. ლორთქიფანიძე, ძლიერი და არტისტიული ხმ ს მქონე (ორივე დიდი შემატებაა ჩვენი სამუსიკო ძალთა), ქ-ი ლიდინა, სკრიპკაზე დამკვრელი ტიზენგაუზი, ვიოლონჩელზე—კოპელნიცკი, არფაზე—ქ-ი როსტენი. რ. ჯიბლაძემ ნიჭიერად წაიკითხა გურული სცენები, თაგუნას შვენიერი იუმორისტული ლექცია დამსწრეთა უმეტესობას საქვ.-მოქ. საზ-ის ანგარიში ეგონათ, ისე იყო წაკითხული. ალ. იმედაშვილმა წაიკითხა ბ. ახოსპირელის „დეე დაბნელდეს“. დასდგეს „ქართველი დედის“ ნაწყვეტი. საუცხოოდ იცეკვეს: ბ-მა ალექსიძემ (ხანჯლებით), თავ. ფალავანდიშვილმა, ბაგრატიონმა, ციციშვილის, ნ. მაჭავარიანის და თარხან-მოურავის ასულებმა, ჯაფარიძისამ, ჩერქეზიშვილმა და სხ. საზოგადოება თითქმის გათენებამდე მოილხენდა. უკრავდა საზანდარი, დუდუკი და სამხედრო მუსიკა. შემოსავალი სამას თუმანს აღემატება. საღამოს ღიასახლისობდა კნ. ელ. ირ. ჯამ.-ორბელიანისა. დაესწრნენ მეფის ნაცვლის ამალის წევრნიც. დაესწრნენ პრინც. ყაჯარი და თათართა სხვა წარჩინებულნი პირნი. ერთმა თათრის ქალმა იცეკვა „თურაჯი“ და „თარაქამა“.

მუნ მყოფი

**აკაკის ხსოვნის საღამო**, საქართ. საისტ. და საეთნ. საზ-ის თაოსნობით, გაიმართა 26/I „არტ. საზ-ის“ დარბაზში. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ექ. თაყაიშვილმა, რომელმაც დაახასიათა აკაკის მოღვაწეობის ხანა და აკაკის ღვაწლი, ახალგაზრდა მკვლევარმა პავ. ინგოროყვამ წაიკ. თვისი შრომა „აკაკი“—აკაკის შემოქმედებისა და მისი განსაკუთრებულობის დახასიათება. მომხსენებელმა დაბალის ხმით დაიწყო, რის გამოც დამსწრეთა შორის ბევრმა ვერაფერი გაიგო მოხსენება მისი ყურადღების ღირსია და სასურველია დაიბეჭდოს. ივ. ელიაშვილმა წაიკითხა თავისი მოგონება—მგოსნის პიროვნების და კერძო ცხოვრების დახასიათება. გრ. დიასამიძემ—აკაკის დაუბეჭდავი ლექსები (ერთი კი, ვგონებთ, დაბეჭდილია), ნ. ერისთავმა და გრ. რობაქიძემ—აკაკის ლექსები, შ. შარაშიძემ—აკაკის „სიკვდილი“ (ნაწყვ.) მგოსნებმა: ა. შანშიაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა და ს ფაშალიშვილმა საკუთარი ლექსები აკაკის მიმართ. მონაწილენი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. საზოგადოება მრავლად დაესწრო. ს. ფაშალიშვილის ლექსს ამავე ნომერში ვბეჭდავთ.

უსახელო

**პროფ. ნ. ა. გრედესკულის** ლექციები „არტ. თეატ. დარბაზში“ გაიმართა 17 და 18/I. პირველ („ევროპიის თან. ომი“) გაცილებით მეტი საზოგადოება დაესწრო, ვიდრე მეორეს („რუსეთი და მისი ერნი“). უკანასკნელ ლექციაში, სხვათა შორის, ქართველები თანაგრძნობით მოიხსენია, სთქვა რომ ეს ერი—ძველი კულტურული ერია, დიდი წარსულის მქონე. მოიგონა ერეკლე მეფის 1783 წ. ტრაქტატი, რუსეთთან დადებული. საქართველო რუსეთს თავის ნებით შეუკავშირდა, დღეს მას სურს ავტონომია და ამის წინააღმდეგი ვინ რათ უნდა იყოსო. რუსეთის გასამარჯვებლად საჭიროა ყველა მის ერთა ერთსულოვანი მოქმედება და რუსეთიც ყველა ერისთვის ნამდვილი სამშობლო უნდა შეიქმნასო. ლექციის შესავალში კი მოიგონა სოლოვიოვის სიტყვები, რომ ბედი ყოველი ადამიანისა და ყოველი ერისა თვით მაზედვეა დამოკიდებულიო.

ი.

**ბაქოს ქართ. სამხ.-სალიტ. წრემ**, შაბათს 9/I სომეხ კაცთ. მოყვ საზ-ის დარბაზში გამართა ჭოლა ლომთათიძის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო: 1) ბ-ნმა ა. ცისკარიძემ წაიკითხა მოხსენება ჭოლას შესახებ; მომხსენებელს ნაკლებათ ჰქონია მასალა. შეიძლებოდა უფრო მეტის თქმა... მოხსენების კითხვის დროს სცენის სიღრმეში მშვენივრად იდგა ჭოლას ცოცხალი სურათი. ფარდის ახდისას გუნდმა სამგლოვიარო იგალობა და დამსწრე საზოგადოებამ ჭოლას ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. 2) წარმოადგინეს ერთაწმინდელის მკრთალ შინაარსიანი, მხატვრულად ულაზათო 1 მოქ. „სიკვდილი ჩრდილოეთში“. მოთამაშენი მოუმზადებელნი იყვნენ. 3) დივერტისმენტში მონაწილეობდენ ახალგაზდა მწერლები. დია ჩიანელმა, ს. მწუხრიშვილმა, სან-გურულმა და სხ. წაიკითხეს გ. ქუჩიშვილისა და ს აბაშელის ლექსები, ზოგმა საკუთარი, როიალის აკომპანიმენტზე იმღერეს ბბ. სამსონიამ და ბ. ჭუმბურიძემ. 4) ქ. სამხატვრ. სალიტ. წრესთან ახლად დაარსებულმა „მუშათა მომღერალმა გუნდმა“ ბ-ნ ვ. გაბილაიას ლოტბარობით გლეხურ ტანსაცმელში გამოწყობილმა შეასრულა სამი სიმღერა: „მუშური“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ლაჟვარდ ცაზე“ და „თებრონე მიდის“.

ხალხი საკმაოდ დაესწრო. მთელ აუდიტორიას მუშა ხალხი შეადგენდა—შესავალი ფასები სახალხო იყო 4 კ.—1 მ-დე. საღამო დასრულდა ნაშუაღამევის $12\frac{1}{2}$ საათ.

გულისაბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქ. არმავირში** წ. კ. საზ-ბის განყ-ბის გამგეობამ, ნინობა დღეს, გამართა აკაკი წერეთლის საღამო. I განყ.: ა) ბ-ნ დ. გურულმა ისაუბრა წმ. ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობაზე და ბ) ბ-ნ ნ. რიონელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკაკის მოკლე ბიოგრაფია: II გან. დაიდგა ცოცხალი სურათები: ა) აკაკის შეხვედრა დ. ონში (რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს); ბ) აკაკის „პატარა კახიდან“ და ვ. გუნიას „და-ძმიდან“. (თუმცა ესეც აკაკისათ იყო ნაჩვენები პროგრამაში). III განყ.: ბ-მა ი. მგელაძემ წაიკითხა აკაკის ლექსები და სცენები, რომელიც ხალხს ძალიან მოეწონა და მრავალი ტაში უძღვნე. ცოცხლად და მშვენივრად წაიკითხა სრულიად ახალგაზდა მაისურაძემ აკაკის ორი ლექსი და დასასრულ ბ-ნ ჯვარიშვილმა საკუთარი ლექსი „აკაკის“. IV განყ. დაიდგა დ. აწყურელის ვოდევილი, „ორი მშიერი“ (სცენის მოყვარე ქალების უშოვნელობის გამო). მონაწილეობდნენ: ბ.ბ. რ. რამაზაშვილი, დ. მამალაძე და მ. ერისთავი. ხალხი საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილი დაიშალა.

ჩრჩილი

**დ. ყვირილაში** 14 იანვარს გაიმართა „ნინოობა“ გადამწვარი თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. შემოვიდა 600 მან. ვ. ურუშაძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა „რაც გინახავ ვეღარ ნახავ“ (I მოქ.); დაიდგა ცოცხალი სურათები. მონაწილეობდა ჩავლეიშვილის გუნდიც. მაზრის უფროსი ბ-ნი ი. ვასაძე ძლიერ უწყობს ხელს თეატრის აღორძინებას. ამ ფონდისთვის ჯერ-ჯერობით მოკრიბა 550 მ. გუ—ლი

**ბაქოში** კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი გაიმართა შაბათს, 23/I. ლექცია შინაარსიანი გამოდგა. დიდძალი ხალხი ლაესწრო.

**ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის** (16/I საღამოს სამკურ. საზოგადოების დარბაზ.) საჯარო კრებაზე ბ-ნმა იპ. ვართაგავამ წაიკითხა მოხსენება: „სოფელი და სოფლელები სოფრონ მგალობლიშვილის მოთხრობებში“. საყურადღებო იყო რეფერენტის მოხსენება, რადგან ამ საგანზე ცოტა გვსმენია ძალიან და როგორც თვით რეფერენტმა დასძინა, სამწუხაროდ ჩვენ არა გვყავს შესწავლილი ჩვენი მწერლები და მით უმეტეს „ხალხოსნობის“ (Народничество) მებაირახტრები ჩვენში.

ბ-ნმა მომხსენებელმა ილაპარაკა რუსეთის ხალხოსნებზე, რადგან ჩვენი მწერლობა შეკავშირებულიაო რუსეთის მწერლობასთან და ამაოდ მოგზაურობენ ჩვენი კრიტიკოსები საფრანგეთ-გერმანიაში საძიებლად ყოველივე ჩვენი მიმდინარეობის სათავისათვისო...

შემდეგ დიდხანს ილაპარაკა ჩვენს ხალხოსნებზე და სთქვა, რომ ჩვენში ხალხოსნების მიმართულებას აკლდა ჟინიანობა და სიმწვავე და მისთვის ვერც საკუთარი სკოლა შექმნეს, და ვერც მემკვიდრენი იყოლიესო... მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი და ყველა დაეთანხმა ბ-ნ მომხსენებლს. სხვათა შორის გამოითქვა აზრი, რომ ყოველივე კამათის ანგარიში იბეჭდებოდესო, რაზედაც ბ-ნმა თავმჯდომარემ გ. ყიფშიძ-ნიამ სთქვა, რომ ხელს გვიშლის უსახსრობაო...

კრების გაგრძელება შე დგა შაბათს.

დაესწრო თვით ს. მგალობლიშვილი, დ. კლდიაშვილი და საზოგადოების გარდა მრავალრიცხოვანი მოწაფეობა. კრება გათავდა თერთმეტის ნახევარ საათზე.

გ—ძე

**ს. საგარეჯოში,** 17 ი ნ. დიმ. გულისაშვილის თაოსნობით და მსახ შაქრო საფაროვის მონაწილეობით ქ დორპატის ქართულ სათვისტომოს სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა „მეზობლები“. პიესამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო.

# წვრილი ამბები

**ელ. ჩერქეზიშვილის** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ქართველ ვაჭართა შორის ფული იკრიბება. ვაჭრების მხრით მიულოცავენ ა. ს. ლორთქიფანიძე და აბ. ტურიაშვილი.

**აკაკის** გარდაცვალების წლის თავის პანაშვიდი გადახდილ იქმნა საფლავზე. ნაწირვებს სიტყვები წარმოსთქვეს ანტონ ეპისკოპოსმა და დეკ. ნ. მაჭარაშვილმა. ფრიად შინაარსიანი სიტყვა იყო ეპ. ანტონისა, რომელმაც, სხვათა შორის, უსაყვედურა თანამოძმეთ, რომ გულციობას იჩენენ საეკლესიო—ეროვნულ ცხოვრებაში და აღნიშნა: თუ ჩვენი ერის წინსვლა გვსურს, ამას მხოლოდ სიტყვით და წერით კი არ უნდა ვქადაგებდეთ, საქმითაც უნდა ვასრულებდეთო. დაესწრნენ ქვრივი მგოსნისა, შვილი—ალექსი, ქართ. ჟურნალ-გაზეთების, კულტურულ დაწესებულებათა და სხ. წარმომადგენელნი, აკაკის სახელობის სკოლის მოწაფენი სკოლის გამგის ეკ. ლორთქიფანიძის თანადასწრებით და სხ. იყვნენ საგანგებოდ ჩამოსულნიც, სხვათა შორის, რკინ. მხ. ვ ყიფიანი და სხ. ამავე დღეს საეთ. საზ. თაოსნობით ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი პლატონ არქიელის და ეპისკოპოსთა მწირველობით. დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

**მხატვარი გ. ქ. ერისთავი,** რუს. დასის ტარტოს რეჟისორის ა. წუწუნავას დავალებით, შეუდგა შ. შარაშიძის პიესის „ავგაროზის“ სადეკორაციო ესკიზების ხატვას.

**მწერალი ქალი** კრისტინე დგებუაძისა მძიმე ავადმყოფია და მ. გ—ის საავადმყოფოში წევს.

**მიქელ-გაბრიელის** სამკითხველოს „თეატრი და ცხოვრება“ მთელი წლით გაუწერა ნეს. კეჭახმაძემ.

**არმავირის განყ.** წ კ. ს. სამკითხველოში 2 თებ. დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება

**„ძმური ნუგეშის“** სასარგებლოდ 21 თებრ. სახ. სახლში გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. მონაწილეობენ, სხვათა შორის, ელ. ჩერქეზიშვილი, განდეგილი, ი. გრიშაშვილი, ინაშვილი, გ ჩუბინაშვილი, ჯავახიშვილი და სხ. ბილეთები „ძმურ ნუგეშში“ იყიდება.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

## სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატებით გაზეთი ღირს წლ. 9 მ. 50 კ., ნახ. წლით 5 მ., სამი თვ. 2 მ. 50 კ. თვით 90 კ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას, თხზულებას თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ერთ. მდგომარ. შესახებ. თხზულების დაწერაში მონ. იღებენ.

კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, გრ. გველესიანი, გ. ლასხიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რცხილაძე, გ. ქიქოძე, ს. ფირცხალავა, თ. ღლონტი და ა. ჯაჯანაშვილი.

მისამ.: თბილისი, „სახალხო ფურცლის" რედაქ., სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

## „მეგობარი"

საპოლიტიკო, სალიტერ., ყოველდღიური გაზეთი

**მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის**

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან., სამი თვით— 2 მან. 3 აბაზი., თვეში—18 შაური, ცალკე ნომერი ყველგან—შაურათ.

**წლიური ფასის შემოტ. შეიძლება ნაწილ ნაწილად:** ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს 3 მან., 1 აგვისტოს—2 მან. ნახევარი.

**ნახევარი წლის ხელის მომწერლებს** შეუძლიათ ორ ნაწილად შემოიტანონ ფული: პირველად 3 მ., 1 აპრილს —2 მან.

**წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად**

გ. მაიაშვილის **ნაწერების კრებულს.**

რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქუთაისი, ივანოვის ქუჩა, ჭილაძის სახლი.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება"-ზე, რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ **რომანოზ ფანცხავას** რედაქტორობით. ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ. **წლიურად:** 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. 50 კ. თვიურად 50 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს—1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:
**Кутаисъ, Роману Сиприд. Панцхава.**

## თანამედროვე აზრი

**გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ.**

გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. **ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, поч. ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.**

თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „**განათლებაში**" ოლგას ქუჩა № 6. მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილესად სთხოვს ფული 20 **დეკემბრამდე** შემოიტანონ.

## „განათლება"

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

იგზავნება აგენტებს: „თეატრი და ცხოვრება", „თან. აზრი", „ეშ. მათრახი", „საქართველო", „Тифлисскій Листокъ", „Русское Слово", „ჰორიზონი", კედლის კალენდრები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Таварткиладзе.

**გამართულია ხელის მოწერა**

## პიპნა-ფშაველის

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილი. ხელის მოწერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში და მიხ. ხერხეულიძესთან: პარკოვსკი ქ. სახ № 27.

## ნომრები „ავრორა"

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და აბანა). თბ., მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)

**სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:**

И. Т Полумордвиновъ.

**Списокъ пьесъ**

На грузинскомъ языкѣ,

**разрѣш. къ представл. на сцен Кавк. Края. ц. 40 коп.**
**Тифлисъ Цензурный Комитетъ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო სახლი

ორშაბათს, 8 თებერვ. ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მადამ-ხანჟენ

კომ. 4 მოქმ. თარგ. ქ. მესხი?ა.

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იმხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ყიფიძე ი.

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი 10 კ.—1 მან.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა

---

# სახალხო სახლი

კვირას 21 თებერვალს 1916 წ. დილით

ლ. ჩერქეზიშვილის მონაწ.

## ბაიყუში

ფარსი 2 მოქმედ. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: მარგველაშვილი, ბ-ბ. გოცირიძე, იმხნელი, ჯაბაური, რამაზაშვილი, და სხ.

## კონცერტ. განყოფ.

**მონაწილეობენ:** ინაშვილი, ჯაჯანაშვილი, დიმიტრაშვილი, ჯაბადარი, გრიშაშვილი, ჩუბინოვი და სხ.

**დასაკვრელ ლეკური ცნობილ მოლეთა მონაწილეობით.**

დასაწყისი დილით 12 საათზე.

ადგილების ფასი 2 მან. 40 კაპ.

**„ბილეთები [?]ყიდება ძმურ ნუგეშში“.**

გამგე ჯავახიშვილისა რეჟისორი გოცირიძე.

---

## განათლება

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალი (წელიწადი მეცხრე).

წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს **5 მ.** ტფილისში ხელის-მოწერთათვის **4 მ.** სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, ჟურნალი დაეთმობათ **3 მ. 50 კ.**

ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირს 50 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკავეთ ჟურნალი. **მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузин. Гимназія Л. Б. Боцвадзе. 1233 რედაქ.-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

---

# ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

**ხუთშაბათს, 2 თებერვალს.**

**ოპერა ქართ. ენაზე**

## რიგოლეტო

# ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**დილით** კვირას, 31 იანვარს 1916 წ. **დილით**

თბ. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი **მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით გამართავს ორს განყოფილებიან სახალხო**

## კონცერტს

1. მ. კავსაძე წაიკითხავს თავის ლექცია-მოხსენებას: **ქართული მუსიკა** (სიმღერა-გალობა), მისი უახლოესი მდგომარეობა. 2-რე და 3-მე **გუნდი ჩერქეზულად გამოწყობილი შეასრულებს ქართლ-კახურ და იმერულ სიმღერებს.** 4.ხე გუნდი გლეხურად გამოწყობილი შეასრულებს სოფლურ სცენებს სიმღერებით. ფანდურს დაუკრავს **ვანო უსტიაშვილი.** შემოსავლის ნაწილი გადაიდება **ფოლას ფონდის გასაძლიერებლად.**

ადგილების ფასი 4 კ—დან 50 კ—მდე. დასაწყისი დილის 12 საათზე. დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

მორიგე წევრი გამგეობისა **ი. ქარსელაძე.**

---

### ფოტოგრაფია ი. ა. სტურუასი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ყოველნაირი ზომის სურათებს ხელმისაწვდენ ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შენაკვეთ საქმეს ასრულებს დანიშნულ ვადაზე.

---

ჩვეულებრივ ვასწავლ[ი]

## ქართულ სიმღერა—გალობას

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ

**მ ი ხ ე ი ლ კ ა ვ ს ა ძ ე ს თ ა ნ**

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში. ორშაბათ., ოთხშაბათ დ პარასკეობით საღამოს 6—9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს.

**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**